სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2022 წლის 26 იანვრის ბრძანება №17/01–** საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია ,,ბ'') გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2022 წლის 31 იანვრის №3/2022** დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი 3
(შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **17 მარტი, 2022 წ. 15:00**

2022 წლის 17 მარტს 15 საათზე ჩატარდა საკონკურსო კომისიის სხდომა. სხდომა ჩატარდა თსუ XI კორპუსში, 335 კაბინეტში.

სხდომას კომისიის ოთხივე წევრიდან ესწრებოდა ოთხივე: 1. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გიორგი ჯაიანი (კომისიის თავმჯდომარე); 2. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი თამაზ თადუმაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. თსუ-ს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი თეიმურაზ დავითაშვილი; 4. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2022 წლის 26 იანვრის ბრძანება №17/01** საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია ,,ბ'') გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა და კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.

1. **მოისმინეს:** მექანიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე კანდიდატის - **ჩინჩალაძე ნატალია ბეჟანის ასული,** შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტ ნატალია ჩინჩალაძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორია: ამ კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, პროფილით მუშაობის სტაჟი, გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული/წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილს

შეესაბამება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ ფორმატსა და მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორია: ამ კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. ნ. ჩინჩალაძეს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში - 13, ხოლო სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში - 22. ციტირების ინდექსი 36, h-ინდექსი - 3 Web of Sciences-ის მიხედვით; ციტირების ინდექსი 51, h-ინდექსი - 4 Scopus-ის მიხედვით; ციტირების ინდექსი 201, h-ინდექსი - 8 Google Scholar-ის მიხედვით. მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე – 6, ადგილობრივზე - 16. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სამეცნიერო მუშაობის კონცეფციაში მიმოხილულია მის მიერ ვაკანსიის პროფილით ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა, მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, დასახულია სამომავლო პერსპექტივა.

შეფასების IV კატეგორია: კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ ნ. ჩინჩალაძეს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და იგი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად კომისიის თავმჯდომარემ ჩაატარა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ოთხივე წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: ა) თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ბ") გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ნატალია ჩინჩალაძე;

ბ) შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი გიორგი ჯაიანი

კომისიის წევრები:

1. პროფესორი თამაზ თადუმაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი თეიმურაზ დავითაშვილი
3. ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა (კომისიის მდივანი)